ვიტგენშტაინის ენობრივი თამაშების მიხედვით რელიგიური უთანხმოების ბუნების გადააზრება

ნინო ადამია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამაზ თოხაძე, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემ ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცვას სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

ნინო ადამია

19.06.2025

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია რელიგიური უთანხმოებების ფილოსოფიური ანალიზი ლუდვიგ ვიტგენშტაინის გვიანი პერიოდის ენობრივი თამაშების კონცეფციის საფუძველზე. ფილოსოფიაში რელიგიური დაპირისპირებები ხშირად განიხილება როგორც მტკიცებულებებისა და არგუმენტების ლოგიკური დაპირისპირება, რაც უგულებელყოფს რელიგიური ენის სპეციფიკურ კონტექსტს. ვიტგენშტაინის მიერ შემოტანილი ცნებები: „ენობრივი თამაში", „ცხოვრებისეული ფორმა", "კონცეპტი", "გამოყენება", "ოჯახური მსგავსება" იძლევა საშუალებას, რომ რელიგიური დისკურსი გავიგოთ როგორც განსხვავებული პრაქტიკა, რელიგიური პლურალიზმი კი, როგორც განსხვავებულ თამაშთა თანაარსებობა. მსგავსად მრავალი თამაშისა, რომლთაც ზოგჯერ საერთო არაფერი აქვთ წესების მხრივ თუმცა ერთიანდებიან ერთი კატეგორია „ თამაში"-ის ცნებაში. ამ კონტექსტში, რელიგიური უთანხმოება აღარ უნდა იქნას გაგებული მხოლოდ როგორც სხვადასხვა სარწმუნოებრივ სისტემებს შორის დოგმატური კონფლიქტი, არამედ როგორც განსხვავებული თამაშების თანაარსებობის შედეგი. ნაშრომში განხილულია ვიტგენშტაინისეული თეორიით დაპირისპირებულ მხარეებს შორის დიალოგის შესაძლებლობა, პლურალიზმისა და თამაშთა შორის არსებული სხვაობით გამოწვეული ურთიერთპატივიცემის წარმოშობის არგუმენტაცია. ამდენად, კონცეპტისა და ენობრივი თამაშების ცნებები, გამოყენებისა და ცხოვრებისეული ფორმების კონტექსტში წარმოადგენს მეტად ინკლუზიურ მოდელს რელიგიური უთანხმოების შეფასებისა და ეპისტემოლოგიური გააზრებისთვის, რაც ხელს უწყობს უთანხმოების შემცირებასა და მხარეებისთვის მსჯელობისთვის სივრცის გამოთავისუფლებას.

საძიებო სიტყვები: რელიგიური უთანხმოება, ცნება, ცხოვრებისეული ფორმები(form of life), ენობრივი თამაშები (language game), ოჯახური მსგავსება (family resemblance).

Abstract

The aim of the present paper is to philosophically analyze religious disagreements based on Ludwig Wittgenstein's later philosophy and his notion of language games. In philosophy, religious disputes are often treated as logical conflicts between arguments, which overlooks the specific context of religious language. The concepts introduced by Wittgenstein—*language game*, *form of life*, *concept*, *use*, and *family resemblance*—allow us to understand religious discourse as a distinct practice and religious pluralism as the coexistence of different language games. These games, much like various actual games, may have nothing in common in terms of rules, yet are united under the general category of "game." In this context, religious disagreement should no longer be understood merely as dogmatic conflict between different faith systems, but rather as a consequence of the coexistence of different games. The dissertation explores the possibility of dialogue between opposing sides through Wittgensteinian theory, arguing for the emergence of mutual respect grounded in the differences between pluralistic practices. Thus, the concepts of *language games* and *forms of life* provide a more inclusive model for assessing and epistemologically understanding religious disagreement, promoting both the reduction of conflict and the creation of dialogical space for differing perspectives.

Keywords: religious disagreement, concept, forms of life, language games, family resemblance.